საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 5243/01
20/06/2018

5243-01-2-201806201607

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

თქვენი წერილის (#6/31072 01.06.2018) პასუხად, რომელიც ეხება ქედის რაიონში, სოფელ წონიარისში მდებარე 36144 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 21.07.32.267) დროებითი სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ტერიტორია საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში. რაც შეეხება ნაკვეთის მდებარეობას სახელმწიფო ტყის ფონდში, გაცნობებთ შემდეგს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყის ფონდი არ წარმოადგენს სსიპ ეროვნულ სატყეოს სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყის ფონდს მართავს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო.

ასევე გაცნობებთ, რომ წყლის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლების თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევები, აგრეთვე არხების და ტბორების წყლები ქმნიან წყლის სახელმწიფო ფონდს. ხოლო მათ მიერ, ასევე ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით დაკავებული მიწა, აგრეთვე მიწა, რომელიც გამოყოფილია წყლის ობიექტის წყალდაცვით ზოლად, სანიტარიული დაცვის ზონად და სხვა, საქართველოს მიწის კანონმდებლობის შესაბასად წარმოადგენს წყლის სახელმწიფო ფონდის მიწას.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილის და წარმოდგენილი მასალების თანახმად, საკადასტრო კოდით (#21.07.32.267) რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე გამავალი მდინარე აჭარისწყალი ფაქტიურად იკავებს აღნიშნული მიწის ნაკვეთის გარკვეულ ნაწილს, რომელიც „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაძლებელია წარმოადგენდეს წყლის სახელმწიფო ფონდის მიწას.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 8-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად: „წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა გამოიყენება იმ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სასმელი, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო და წყალზე სხვა საჭირო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, თევზის მეურნეობის, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სხვა საჭიროებას“. წყლის სახელმწიფო ფონდის მიწით სარგებლობის წესი განისაზღვრება „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მიწის კანონმდებლობით.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ მდინარე აჭარისწყლის სიგრძე შეადგენს 90 კმ-ს (ზედაპირული წყლის რესურსები. 1974 წ., ტომი 9., გვ. 278). ვინაიდან მიწის ნაკვეთი მდებარეობს მდინარის სიახლოვეს, მასზე ან მის ნაწილზე შესაძლებელია ვრცელდებოდეს მდ. აჭარისწყლის წყალდაცვითი ზოლი. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 75 კმ-ზე მეტი სიგრძის მდინარისათვის წყალდაცვითი ზოლის სიგანედ დადგენილია 50 მეტრი.

წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები განისაზღვრება ”წყლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით, რომლის მე-3 და მე-4 მუხლების მიხედვით დადგენილი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას.

წყალდაცვითი ზოლის და მის ფარგლებში მოქმედი შესაბამისი აკრძალვების და სპეციალური მოთხოვნების უძრავ ქონებაზე გავრცელების დასადგენად საჭიროა დაზუსტება ადგილზე ჩატარებული გაზომვებით.

დამატებით გაცნობებთ, რომ ”წყლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-22 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად: „წყალდაცვითი ზოლის მიწები შეიძლება გადაეცეს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკუთრებაში ან სარგებლობაში მიწის კანონმდებლობით დადგენილი წესით და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საქმიანობის შეზღუდვების დაცვის პირობით“.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე